საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2123-02
07/08/2017

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2017 წლის 21 ივლისის N1873-02 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის N6 ოქმის საფუძველზე უნდა გამოცხადებულიყო კონკურსი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე. დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა და კონკურსი გამოცხადდა ასისტენტ- პროფესორის 4 საშტატო ერთეულზე.

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის №6 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა რექტორის 2017 წლის 21 ივლისის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის** აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N1873-02 ბრძანების სათაურსა და 1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სათაური:

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ;

პირველი პუნქტი:

,,2017 წლის 24 ივლისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;**

2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი